[თბილისის “დინამო” - მოსკოვის ცსკ]

მოსკოვი. 15 ივნისი (ტელეფონით).

მოსკოვის “დინამოს” სტადიონზე შედგა თბილისის დინამოელთა შეხვედრა ცსკ მო-ს გუნდთან. თბილისელთა შემადგენლობაში მოხდა სერიოზული ცვლილებანი (პირველად თამაშობდა თორაძე _ #3, ჩოხელი გამოდიოდა მარჯვენა მცველად, იამანიძე დაწეულ იქნა ნახევარდაცვაში, მწყობრში ჩადგა ღოღობერიძე).

პირდაპირ უნდა ითქვას, ახალმა შემადგენლობამ კარგად ჩაატარა მატჩი. მოსკოველმა მაყურებლებმა ბოლოს და ბოლოს კვლავ ნახეს ბრძოლისუნარიანი, სწრაფი და ტემპერამენტიანი გუნდი _ თბილისის “დინამო”, რომელმაც სრულიად დამსახურებულად მიაღწია გამარჯვებას ანგარიშით 2:0 (ბურთები გატანილ იქნა კალოევისა და მესხის გარღვევების შედეგად).

ვ. პავლოვი
“ლელო”, 16 ივნისი, 1959 წ.